

XI კლასი

1. რომელ წინადადებაშია გამოხატული კატეგორიული მოთხოვნა?

- ა) გთხოვთ წერილი ამ მისამართზე გამოგიგზავნოთ!
- ბ) დაუყოვნებლივ დაფარეთ გაწეული მომსახურების საფასური!
- გ) ჯობს წინასწარ შეისწავლოთ ქალაქის ღირსშესანიშნაობები.
- დ) შეგიძლიათ საინფორმაციო ბუკლეტი აქვე შეიძინოთ.

სწორი პასუხია – ბ

2. შეურჩიეთ ტექსტს სათაური.

კინოფილმ „აბეზარას“ მთავარი გმირი, მომღერალი თენგიზ მუშკუდიანი, ვერაზე ცხოვრობს. ამ ძველ უბანში დაიბადა და გაიზარდა. საოცარი ეზო ჰქონდა, ყველა ეროვნების მეზობელი ჰყავდა – ასირიელები, სომხები, ებრაელები. მას ძალიან საინტერესო ბავშვობა ჰქონდა. ბავშვები ერთმანეთთან მეგობრობდნენ და თუ ჩხუბობდნენ, მალევე რიგდებოდნენ. მომღერალი იგონებს, რომ თბილისურმა ეზომ მეგობრობა ასწავლა. გარდა ამისა, ადამიანების მიმართ თბილი დამოკიდებულება ჩამოუყალიბა.

- ა) თბილისური ეზოს სიკეთე.
- ბ) თენგიზ მუშკუდიანის წარმატებები.
- გ) „აბეზარას“ გადაღების ისტორიიდან.
- დ) ძველი უბნების დღევანდელი სიცოცხლე.

სწორი პასუხია – ა